მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი

შპს "სენაკის ბავშვთა საავადმყოფო“
საიდენტიფიკაციო ნომერი: (ს/კ 239866542)
ფაქტ/მისამართი: სენაკი, რუსთაველის 112
იურ/მისამართი: საქართველო, ქ.სენაკი, რუსთაველის ქ. N112
ტელეფონის ნომერი: 0413275451
ელექტრონული ფოსტა: childrenhospitalofsenaki@gmail.com

მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი

შპს ,,არქიმედეს კლინიკა“
საიდენტიფიკაციო ნომერი: (ს/კ 404869567)
ფაქტ/მისამართი: სენაკი
იურ/მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზირი, N34
ტელეფონის ნომერი:
ელექტრონული ფოსტა:

მონაცემთა სუბიექტის თანხმობითა და მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელ და უფლებამოსილ პირს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე უფლებამისილი პირი შპს **,,არქიმედეს კლინიკა“(ს/კ 404869567)** პაციენტს უწევს ლაბორატორიული და რენტგენოლოგიური კვლევის მომსახურებას და ამ პროცესში ამუშავებს პაციენტის მაიდენტიფიცირებელ და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს.
ხელშეკრულებაა შეიცავს პერსონალურ მონაცემთა და კონფიდენციალობის დაცვის გარანტიებს.

საიდენტიფიკაციო ნომერი: 405295041
ფაქტ/მისამართი: თბილისი, ბიზნეს ცენტრი ქარვასლა,
II სართული, A226
იურ/მისამართი: თბილისი, ბიზნეს ცენტრი ქარვასლა,
II სართული, A226
ტელეფონის ნომერი: (+995) 598 108 168

ელექტრონული ფოსტა: info@medsoft.ge

“ჰოსპიტალსოფტი“ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელ პირს გადასცემს კომპიუტერული პროგრამების: “Webmed Core” და „ElForms“ (შემდგომში “პროგრამები”) სარგებლობის უფლებას და უზრუნველყოფს ყველა საჭირო ინსტრუქციებით, მითითებებით, რაც საჭიროა პროგრამების შესახებ სრულყოფილი ინფორმირებისთვის და ახორციელებს „პროგრამების“ ინსტალაციას საავადმყოფოს სერვერებზე. “ჰოსპიტალსოფტი” უზრუნვეყოფს პროგრამების გამართული ფუნქციონირებას, რაც ინსტალაციის, განახლების ან/და პროგრამული ხარვეზის გასწორებისას მოიზარებს „პროგრამებში“ ასახულ პერსონალურ მონაცემებზე წვდომასაც.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტის ზოგადი აღწერა და შინაარსი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი აღწერს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "სენაკის ბავშვთა საავადმყოფო“-ს მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესს და დამუშავების პროცესში მონაცემთა სუბიექტის უფლებათა დაცვის გარანტიებს.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის დოკუმენტი ხელმისაწვდომია მონაცემთა სუბიექტებისათვის და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისათვის.

შპს სენაკის ბავშვთა საავადმყოფო ახორციელებს საქმიანობას შემდეგი მიმართულებით: 0-დან 18 წლამდე არასრულწლოვანების კლინიკურ-დიაგნოსტიკური გამოკვლევები; სამედიცინო პროფილაქტიკა; სამკურნალო დახმარება; სამედიცინო რეაბილიტაცია; სტაციონალური მკურნალობა; ამბულატორიული დახმარება.

ჩვენი საქმიანობის სფეროდან გამომდინარე ვამუშავებთ არასრულწლოვანების განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებს პაციენტთა ჯანმრთელობის დაცვისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მიზნებისათვის.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პაციენტების პერსონალური მონაცემებისა და პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვა. ვიზიარებთ რა ჩვენს მიერ შეგროვებული განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების და არასრულწლოვანის პირადი ცხოვრების უფლების მნიშვნელობას მივმართავთ ყველა აუცილებელ ზომას მონაცემთა კონფიდენციალობისა და უსაფრთხოების დასაცავად, რათა თავიდან ავირიდოთ მონაცემებზე უნებართვო წვდომა და არამართლზომიერი გამჟღავნება.

დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობა.

დოკუმენტი მოიცავს შემდეგ ძირითად საკითხებს: რა მიზნით ვამუშავებთ მონაცემთა სუბიექტის (პაციენტი, მისი მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, თანამშრომელი და აშ.) მონაცემებს, როგორ მოვიპოვებთ პერსონალურ მონაცემებს და ვინ არიან მესამე პირები, რომელთაც

მონაცემები კანონით დადგენილი წესითა და ფარგლებში გადაეცემა, რა ვადით ვინახავთ პერსონალურ მონაცემებს და რა ორგანიზაციულ და ტექნიკურ ზომებს მივმართავთ მისი დაცვისათვის.

დოკუმენტი შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან: პაციენტის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და სტაციონარული მკურნალობისას პაციენტის ვიზიტორთა პერსონალურ მონაცემთა დამუშავება და თანამშრომელთა პერსონალური მონაცემების დამუშავება.

კანონმდებლობა, რომელიც საფუძვლად უდევს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტს

შპს სენაკის ბავშვთა საავადმყოფო (შემდგომში „ჩვენ“, „ცენტრი“) პატივს სცემს საქართველოს კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. პაციენტის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ყოველთვის ვხელმძღვანელობთ ბავშვის საუკეთესო ინტერესებით. ბავშვს აქვს უფლება უმაღლესი სტანდარტით იყოს დაცული მისი ჯანმრთელობა და პირადი ცხოვრების კონფიდენციალობა.

მონაცემთა დამუშავების პროცესში ჩვენ ვიცავთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კონვენციითა და საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსის აღიარებულ უფლებებს.

ჩვენს მიერ პერსონალური მონაცემები მუშავდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის და მონაცემთა დაცვის ევროპული რეგულაციის (GDPR) შესაბამისად.

მონაცემთა დამუშავების პროცესში ჩვენ ასევე ვხელმძღვანელობთ ჯანდაცვის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობით (საქართველოს კანონები: „პაციენტის უფლებების შესახებ“; „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ „საექიმო საქმიანობის შესახებ“ და ა.შ.) და კანონქვემდებარე აქტებით, რომლებიც არეგულირებენ ჩვენი საქმიანობის სფეროსა და პერსონალურ მონაცემთა დამუშავებას:

- 2009 წლის 19 მარტის მინისტრის ბრძანება №108/ნ “სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ”;
- 2011 წლის 15 აგვისტოს მინისტრის ბრძანება №01-41/ნ “ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ”;
- 2019 წლის 3 იანვრის მინისტრის ბრძანება №01-1/ნ “ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების სისტემის (EHR) ფუნქციონირებისა და წარმოების წესის განსაზღვრის შესახებ”;
- 2019 წლის 25 მარტის მინისტრის ბრძანება №01-26/ნ “სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების წესის შესახებ” და აშ.

თავი I

პაციენტის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

მონაცემთა სუბიექტი: ამ თავის მიზნებისათვის მონაცემთა სუბიექტი არის არასრულწლოვანი პაციენტი; მისი მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი; ბავშვის კანონიერ წარმომადგენლად ითვლება: ბებია, პაპა, და,ძმა, მეურვე, მზრუნველი, სხვა ნათესავი (საფუძველი: საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმიური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმა; პაციენტის წერილობითი ინფორმირებული თანხმობა სამედიცინო მომსახურების გაწევაზე, სამედიცინო დოკუმენტაცია, ფორმა NIV -300-12ა); პაციენტის ვიზიტორი სტაციონარულ განყოფილებაში, პირი, ვინც მოიყვანა პაციენტი გადაუდებელი შემთხვევის დროს.

ჩვენს მიერ დამუშავებული პერსონალურ მონაცემთა კატეგორიები, დამუშავების მიზნები და ლეგიტიმური საფუძვლები

შპს სენაკის ბავშვთა საავადმყოფო არის სამედიცინო დაწესებულება, რომელიც უწევს სამედიცინო მომსახურებას 0-დან 18 წლამდე არასრულწლოვანებს.

საქმიანობის სფეროდან გამომდინარე, ჩვენ მიერ პაციენტთა პერსონალური მონაცემები მუშავდება სამედიცინო მომსახურების მიღების, სამედიცინო მომსახურების დაფინანსების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიზნების, კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო სტრუქტურებთან ანგარიშგებისა და სხვა მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნებისათვის.

ჩვენს მიერ მონაცემთა დამუშავება მოიცავს : მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, მათი შეგროვება, მოპოვება, მათზე წვდომა, ვიდეომონიტორინგი, დაჯგუფება, ურთიერთდაკავშირება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, აგრეთვე მონაცემთა გამჟღავნება მათი გადაცემით.

ჩვენს მიერ დამუშავებული მონაცემები, მონაცემთა დამუშავების მიზნები და ლეგიტიმური საფუძვლები იხ. ცხრილში:

პერსონალურ მონაცემთა დაცვის

რომელ მონაცემს ვამუშავებთ	რა მიზნით ვამუშავებთ მონაცემებს	მონაცემთა დამუშავების საფუძველი (მონაცემებს ვამუშავებთ თუ არსებობს ერთ-ერთი საფუძველი მაინც)
პაციენტის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები - სახელი, გვარი, მოქალაქეობა მისამართი, დაბადების თარიღი, საცხოვრებელი ადგილი.	• პაციენტების მიერ სამედიცინო მომსახურების მიღება (ლაბორატორიული კვლევები, ამბულატორიული და სტაციონარული (მათ შორის გადაუდებელი) მკურნალობა); • საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი სახელმწიფო სტრუქტურათა წინაშე ანგარიშგება; • პაციენტის/მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ მოთხოვნილი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემა.	• პაციენტის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა • მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის სამედიცინო მომსახურების გასაწევად).
პაციენტის, მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, იმ პირის, ვინც პაციენტი მოიყვანა სამკურნალოდ საკონტაქტო ინფორმაცია -მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა	• არასრულწლოვანთა მშობლებთან და კანონიერ წარმომადგენლებთან კომუნიკაცია პაციენტის სამედიცინო მომსახურების პროცესში; • სასამართლო დავის წარმოება საჭიროების შემთხვევაში.	• პაციენტის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა • მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის სამედიცინო მომსახურების გასაწევად).
ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემები	• პაციენტების მიერ სამედიცინო მომსახურების მიღება (ლაბორატორიული კვლევები,	• პაციენტის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული, წერილობითი თანხმობა;

(განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები) - ინფორმაცია პაციენტის სამედიცინო მდგომარეობის, მკურნალობის, მედიკამენტების და წარსული დაავადებების შესახებ, სამედიცინო შემთხვევა, ქირურგიული ოპერაცია, დანიშნულება, დიაგნოზი, ინფორმაცია ჰოსპიტალიზაციის ეპიზოდ(ებ)ის/ამბულატორიული ვიზიტ(ებ)ის შესახებ, სისხლის ჯგუფი.	ამბულატორიული და სტაციონალური (მათ შორის გადაუდებელი) მკურნალობა); • საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა; • საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის განხორციელება/ხელშეწყობა; • საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი სახელმწიფო სტრუქტურათა წინაშე ანგარიშგება; • სასამართლო დავის წარმოება საჭიროების შემთხვევაში.	• განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვის სფეროში პრევენციული, პროფილაქტიკური, დიაგნოსტიკური, სამკურნალო, მომსახურებისათვის და მათი დამუშავება პირდაპირაა გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით; • განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან სხვა პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად და პაციენტს/მის მშობელს/ კანონიერ წარმომადგენე;ს ფიზიკურად ან სამართლებრივად უნარი არ აქვს, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებაზე განაცხადოს თანხმობა.
დიაგნოსტიკური მონაცემები (განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები) - ტესტის/ანალიზის შედეგები, სამედიცინო გამოსახულება და სხვა დიაგნოსტიკური ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაფასებლად	• პაციენტების მიერ სამედიცინო მომსახურების მიღება (ლაბორატორიული კვლევები, ამბულატორიული და სტაციონალური (მათ შორის გადაუდებელი) მკურნალობა); • საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა; • საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის განხორციელება/ხელშეწყობა;	• პაციენტის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული, წერილობითი თანხმობა; • განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვის სფეროში პრევენციული, პროფილაქტიკური, დიაგნოსტიკური, სამკურნალო, მომსახურებისათვის და მათი

	• საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი სახელმწიფო სტრუქტურათა წინაშე ანგარიშგება; • სასამართლო დავის წარმოება საჭიროების შემთხვევაში.	დამუშავება პირდაპირაა გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით; • განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან სხვა პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად და პაციენტს/მის მშობელს/ კანონიერ წარმომადგენე;ს ფიზიკურად ან სამართლებრივად უნარი არ აქვს, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებაზე განაცხადოს თანხმობა.
პროფილაქტიკური აცრებისა და იმუნიზაციის შესახებ ინფორმაცია (განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები)	• საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა; • საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის განხორციელება/ხელშეწყობა; • საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი სახელმწიფო სტრუქტურათა წინაშე ანგარიშგება; • არასრულწლოვანთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა.	• პაციენტის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული, წერილობითი თანხმობა; • განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვის სფეროში პრევენციული, პროფილაქტიკური, დიაგნოსტიკური, სამკურნალო, მომსახურებისათვის და მათი დამუშავება პირდაპირაა გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით; • განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან სხვა პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად და პაციენტს/მის მშობელს/ კანონიერ წარმომადგენე;ს ფიზიკურად ან სამართლებრივად უნარი არ

		აქვს, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებაზე განაცხადოს თანხმობა. • განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის -საზოგადოებრივი ჯანდაცვის დასაცავად;
ფინანსური და სადაზღვევო ინფორმაცია - დეტალები, რომლებიც დაკავშირებულია პაციენტის სადაზღვევო მონაცემებთან, გადახდილი თანხის ინფორმაციასა და ჩანაწერებთან, დაფინანსების წერილი, სადაზღვევო კომპანია და პოლისის ნომერი, დაზღვევის პროგრამის დასახელება	• სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება; • სასამართლო დავის წარმოება საჭიროების შემთხვევაში; • საგადასახადო ანგარიშსწორება სახელმწიფო ორგანოების წინაშე.	• პაციენტის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული, წერილობითი თანხმობა; • მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის სამედიცინო მომსახურების გასაწევად). • განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაცვის სფეროში, მათ შორის, სოციალური უზრუნველყოფის სისტემისა და მომსახურების მართვისთვის საქართველოს კანონმდებლობით დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვისდაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად ან მონაცემთა სუბიექტის კონკრეტული უფლებების განსახორციელებლად.

ოჯახურ და სოციალურ მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემები (და-ძმების რაოდენობა, სოციალურად დაუცველის სტატუსი და აშ)	• სოციალურად დაუცველის სტატუსის დადგენა სამედიცინო მომსახურების ანაზღაურებისა და კანონდებლობით დადგენილი შეღავათებით სარგებლობისათვის.	• პაციენტის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული, წერილობითი თანხმობა; • განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაცვის სფეროში, მათ შორის, სოციალური უზრუნველყოფის სისტემისა და მომსახურების მართვისთვის საქართველოს კანონმდებლობით დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვისდაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად ან მონაცემთა სუბიექტის კონკრეტული უფლებების განსახორციელებლად.
ვიდეო მონიტორინგის მონაცემები	• არასრულწლოვანთა დაცვა მავნე ზეგავლენისგან, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა.	• მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის - არასრულწლოვანის უსაფთხოებისა და მავნე ზეგავლენისგან დასაცავად.
სტაციონარული განყოფილების ვიზიტორთა შესახებ ინფორმაცია (სახელი, გვარი. საკონტაქტო ინფორმაცია - ტელეფონის ნომერი)	• არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისგან და უსაფრთხოების დაცვა.	• ვიზიტორთა თანხმობა; • მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის - არასრულწლოვანის უსაფთხოებისა და მავნე ზეგავლენისგან დასაცავად.
იმ პირის შესახებ ინფორმაცია, რომელმაც მოიყვანა პაციენტი მკურნალობის მიზნით ბებია,	• არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისგან და უსაფრთხოების დაცვა;	• მონაცემთა სუბიექტის თანხმობა; • მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის -

პაპა, ნათესავი და აშ. (სახელი, გვარი, კავშირი პაციენტთან, ტელეფონის ნომერი).	• არასრულწლოვანთა მშობლებთან და კანონიერ წარმომადგენლებთან კომუნიკაცია პაციენტის სამედიცინო მომსახურების პროცესში.	არასრულწლოვანის უსაფთხოებისა და მავნე ზეგავლენისგან დასაცავად.

მონაცემთა დამუშავების პრინციპები, რომელსაც ვიცავთ მონაცემთა დამუშავების პროცესში

კანონიერებისა და სამართლიანობის პრინციპი

ჩვენ ვამუშავებთ პერსონალურ მონაცემებს კანონმდებლობით დადგენილი წესებითა და საფუძვლებით. პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ჩვენთვის მთავარი პრინციპია არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებისა და მისი ღირსების დაცვა.

ჩვენ ვიცავთ ბავშვის უფლებათა კოდექსს, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების წესებს, საერთაშორისო და ადგილობრივი მარეგულირებელი ორგანოების რეკომენდაციებს/პროტოკოლებს.

ჩვენ უზრუნველვყოფთ პაციენტთა/არასრულწლოვან უფლებების დაცვას და პერსონალურ მონაცემებს ვამუშავებთ თანასწორობის (დისკრიმინაციის გამორიცხვის) პრინციპის დაცვით.

ჩვენ ვიცავთ არასრულწლოვან პაციენტთა კონფიდენციალობას და მესამე პირებს მონაცემებს გადავცემთ ან საქართველოს კანონმდებლობის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში ან პაციენტის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნის საფუძველზე.

გამჭვირვალობის პრინციპი

მონაცემთა დამუშავების პროცესი გამჭვირვალეა მონაცემთა სუბიექტისთვის. პაციენტს, მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მონაცემების დამუშავების პროცესის დაწყებამდე მიეწოდება ინფორმაცია მონაცემთა დამუშავების მიზნის, მოცულობისა, მონაცემთა სუბიექტის უფლებების და მესამე პირების შესახებ, ვისაც კანონით დადგენილი წესით გადავცემთ მონაცემებს.

პაციენტს, მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ნებისმიერ დროს შეუძლია მოგვმართოს და მიიღოს ინფორმაცია თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში, მონაცემთა სუბიექტს ვატყობინებთ პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული ინციდენტების შესახებ, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მათ უფლებებზე და ინციდენტის აღმოსაფხვრელად ჩვენს მიერ გადადგმული ნაბიჯების შესახებ.

მიზნის შეზღუდვის პრინციპი

ჩვენ ვამუშავებთ პერსონალურ მონაცემებს მხოლოდ იმ კონკრეტული მიზნით რა მიზნითაც მოხდა მათი მოპოვება. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს ვამუშავებთ მხოლოდ პაციენტის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობით და მათ თანხმობის მიღებამდე ვაწვდით ინფორმაციას მონაცემთა გამოყენების მიზნების შესახებ. მოპოვებული მონაცემების სხვა მიზნით გამოყენებისთვის ხელახლა ვითხოვთ მონაცემთა სუბიექტის თანხმობას;

მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპი

პერსონალურ მონაცემებს ვამუშავებთ მხოლოდ იმ მოცულობით რაც აუცილებელია პაციენტის მიერ სამედიცინო მომსახურების მისაღებად და ამ დოკუმენტში აღნიშნული მიზნების მისაღწევად.

მონაცემთა დამუშავებისას ვითვალისწინებთ მიზნისა და მონაცემთა მოცულობის თანაზომიერებას და მონაცემთა დამუშავების ზეგავლენას ადამიანის უფლებებზე და არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებზე.

მონაცემთა სიზუსტის პრინციპი

ჩვენ ვზრუნავთ რომ ჩვენთან დაცული, ჩვენს მიერ მოპოვებული და პაციენტის მიერ მოწოდებული პერსონალური მონაცემები იყოს ზუსტი და ნამდვილი. არაზუსტ მონაცემებს დაუყოვნებლივ ვასწორებთ ან ვშლით, როგორც მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის საფუძველზე, ასევე ჩვენს მიერ შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში, მონაცემთა შესწორების შესახებ ვაცნობებთ მესამე მხარეს, რომელსაც გადავეცით მონაცემები;

ვადის შეზღუდვის პრინციპი

ჩვენ ვინახავთ მონაცემებს მხოლოდ იმ ვადით, რაც აუცილებელია მიზნის მისაღწევად (თითოეული კატეგორიის მონაცემისათვის განსაზღვრულია კონკრეტული ვადა), რის შესახებაც ინფორმირებულია მონაცემთა სუბიექტი. პერსონალურ მონაცემთა შენახვისათვის ჩვენ წინასწარ განვსაზღვრავთ კონკრეტულ ვადას ან ვუთითებთ ვადის განსაზღვრის კრიტერიუმს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მონაცემთა შენახვის ვადა კანონმდებლობით არ არის დადგენილი. მონაცემთა დამუშავების წინასწარ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ვანადგურებთ მონაცემებს შრედერის საშუალებით აღდგენის შესაძლებლობის გარეშე.

მონაცემთა უსაფრთხოების პრინციპი

მონაცემების უსაფრთხოების დაცვის მიზნით მონაცემთა დამუშავებისას ჩვენ ვიღებთ ისეთ ტექნიკურ და ორგანიზაციული ზომებს, რომლებიც სათანადოდ უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას, მათ შორის, უნებართვო ან უკანონო დამუშავებისგან, შემთხვევითი დაკარგვისგან, განადგურებისგან ან/და დაზიანებისგან. ჩვენი შიდა ელექტრონული ბაზა დაცულია უნებართვო წვდომისაგან და აღირიცხება თითოეული წვდომის შემთხვევა.

ჩვენ ვიცავთ კონფიდენციალურობის პრინციპს და ამ პრინციპის დაცვისათვის განვსაზღვრავთ პირთა წრეს (სამედიცინო პერსონალის და ადმინისტრაციის თანამშრომელთა) , რომელთაც მათი ფუნქციებიდან გამომდინარე აქვთ ხელმისაწვდომობა პერსონალურ მონაცემებზე.

მონაცემთა კონფიდენციალობის დაცვის მიზნით, ყოველთვის, სადაც ეს შესაძლებელია, ვახდენთ მონაცემთა ფსევდონიმიზირებასა (მაგ. ლაბორატორიული კვლევების დროს სინჯარებზე).

მონაცემთა უსაფრთხოების ზომები აღწერილია ცალკე დოკუმენტში, რომელიც თან ერთვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტს.

რა ზომებს მივმართავთ კონფიდენციალურობის დაცვისთვის

1. მონაცემთა მოგროვება მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული მიზნით და მონაცემთა სუბიექტის თანხმობით

არასრულწლოვან პაციენტთა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება ხორციელდება მხოლოდ არასრულწლოვანის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც არსებობს სიცოცხლისა და ჯანმრთელობის რისკის გამო ჩარევის მყისიერი აუცილებლობა და შესაბამისად, მონაცემთა დამუშავების ლეგიტიმურ საფუძველს წარმოადგენს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესი.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გარკვეულ შემთხვევებში, პაციენტის სამედიცინო მომსახურების გაწევაზე ინფორმირებული თანხმობა შეიძლება განაცხადოს პაციენტის ნათესავმა (დედა, მამა, და, ძმა, ბებია, პაპა, მეურვე, მზრუნველი, სხვა) (საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმიური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმა; პაციენტის წერილობითი ინფორმირებული თანხმობა სამედიცინო მომსახურების გაწევაზე, სამედიცინო დოკუმენტაცია, ფორმა NIV -300-12ა).

ასეთ შემთხვევებში პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობას ვიღებთ იმ პირისგან, რომელმაც გასცა თანხმობა სამედიცინო მომსახურების მიღებაზე.

არასრულწლოვანის, მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა მონაცემთა დამუშავებაზე არ ჩაითვლება ნამდვილად, თუ მონაცემთა დამუშავება საფრთხეს უქმნის ან ზიანს აყენებს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებს.

„პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად არასრულწლოვანის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებას არ ვახდენთ და შესაბამისად პერსონალურ მონაცემებს ვამუშვებთ მათი თანხმობის გარეშე თუ 14-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანმა პაციენტმა, რომელიც სამედიცინო მომსახურების გამწევის შეხედულებით სწორად

აფასებს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობას ექიმს მიმართა სქესობრივად გადამდები დაავადების შესახებ კონსულტაციის მიღების მიზნით.

პაციენტს და მის მშობელს/ კანონიერ წარმომადგენელს თანხმობის გაცემამდე ვაწვდით ინფორმაციას ჩვენს მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესების, მონაცემთა დამუშავების ვადებისა და მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის გარანტიების შესახებ.

მონაცემთა სუბიექტი/მისი კანონიერი წარმომადგენელი პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე წერილობითი თანხმობის დროს ეცნობა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ თანხმობის დოკუმენტს, ჩვენ ვპასუხობთ მის ნებისმიერ კითხვას დოკუმენტთან და პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესთან დაკავშირებით. რის შემდეგაც პაციენტი/მისი კანონიერი წარმომადგენელი ხელს აწერს თანხმობის დოკუმენტს და ჩვენ ვიწყებთ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებას დოკუმენტში აღნიშნული მიზნების შესაბამისად.

იმ შემთხვევაში თუ პაციენტი დგება აღრიცხვაზე ჩვენს პოლიკლინიკაში თანხმობა ძალაშია ჩვენთან აღრიცხვაზე ყოფნის პერიოდში. თუ პაციენტი შეიცვლის პროვადიერ კლინიკას ჩვენ ვწყვეტთ მისი მონაცემების დამუშავებას და დამუშავებულ მონაცემებს ვინახავთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვადით.

თუკი პაციენტი (რომელიც არ არის ჩვენს პოლიკლინიკაში აღრიცხაზე) მოგვმართავს სტაციონარული ან ამბულატორიული მკურნალობისათვის თანხმობა მოქმედებს მკურნალობის დასრულებამდე ან პაციენტის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ თანხმობის გამოთხოვამდე თუ არ არსებობს მონაცემთა დამუშავების სხვა კანონიერი საფუძველი.

2. კონფიდენციალობა კონსულტაციის პროცესში

ექიმთან კონსულტაცია მკაცრად კონფიდენციალურია. პაციენტსა და კონსულტანტს შორის საუბარი არ არის ხელმისაწვდომი მესამე პირებისათვის, გარდა მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და იმ პირისა, რომლის დასწრებასაც ითხოვს მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი.

ჩვენს შენობაში კონსულტაციის გაწევა ხორციელდება კონსულტაციისათვის გამოყოფილ ოთახში ინდივიდუალურად, მხოლოდ პაციენტისა/მისი მშობლის.კანონიერი წარმომადგენლის და ექიმის ჩართულობით.

ექიმის მხრიდან კონფიდენციალობის დარღვევა, რამაც შესაძლოა პირდაპირი ან არაპირდაპირი ზიანი მიაყენოს პაციენტს ისჯება ქვეყანაში არსებული კანონმდებლობით. თუ პაციენტს/კანონიერ წარმომადგენელს სურვილი აქვს კონსულტაციას დაესწროს მისი ახლობელი (ოჯახის წევრი ან სხვა თანმხლები პირი) კონსულტანტი ვალდებულია დამსწრე პირს გააცნოს ინფორმაცია კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულების შესახებ,

კონსულტაციის პროცესში კონფიდენციალობის დასაცავად ჩვენ ასევე მივმართავთ პაციენტების ვიზიტებს შორის გონივრულ დროით შუალედს რათა თავიდან იქნეს აცილებული პაციენტების შეხვედრა.

3. კონფიდენციალობა ლაბორატორიული კვლევებისა და კვლევის/ანალიზის პასუხების მიღების პროცესში

ყველა პაციენტის ანალიზის/ლაბორატორიული კვლევის დროს ლაბორატორიაში სინჯარაზე პაციენტის სახელისა და გვარის ნაცვლად აღნიშნულია კოდი, რომელიც ცნობილია მხოლოდ პაციენტის მკურნალობაში ჩართული სამედიცინო პერსონალისათვის.

ანალიზის/ლაბორატორიული კვლევის შედეგების გაგება შესაძლებელია ადგილზე.

იმ შემთხვევაში თუ პაციენტს/კანონიერ წარმომადგენელს სურს მისი კვლევის შედეგები ადგილზე მიიღოს სხვა პირმა, აუცილებელია წინასწარ დაგვიტოვოს შევსებული ინფორმირებული თანხმობის ფორმა ან წარმოადგინოს ნოტარიალურად დადასტურებული მინდობილობა, სადაც აღნიშნულია, რომ წარმომადგენელს აქვს მინიჭებული უფლება გაეცნოს პაციენტის განსაკუთრებული კატეგორიის/ჯანმრთელობის მონაცემებს.

მონაცემთა სუბიექტის თანხმობითა და შპს ,,არქიმედეს კლინიკა“ (ს/კ 404869567) და ჩვენს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით შპს „არქიმედეს კლინიკა“ პაციენტს უწევს ლაბორატორიული და რენტგენოლოგიური კვლევის მომსახურებას და ამ პროცესში ამუშავებს პაციენტის მაიდენტიფიცირებელ და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს. ხელშეკრულებაა შეიცავს პერსონალურ მონაცემთა და კონფიდენციალობის დაცვის გარანტიებს.

4. თანამშრომელთა მიერ კონფიდენციალობის დაცვა

ჩვენი თანამშრომლები შეზღუდულნი არიან კონფიდენციალობის ვალდებულებით, როგორც მათთან დადებული ხელშეკრულებით, ასევე ცენტრის შინაგანაწესით. კონფიდენციალობის დარღვევა, მათ შორის პაციენტის პერსონალურ მონაცემებზე უნებართვო წვდომა არის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი. კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება უნარჩუნდებათ შრომითი ხელშეკრულების დასრულების შემდეგაც.

5. ვიდეო მონიტორინგი და არასრულწლოვანთა დაცვა მავნე ზეგავლენისგან

არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისაგან დაცვის (ასევე საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვის) მიზნით ვიდეო მონიტორინგი ხორციელდება მხოლოდ შენობის გარე პერიმეტრზე. ჩვენ არ ვახორციელებთ აუდიო მონიტორინგსა და ჩაწერას.

სტაციონარული მკურნალობის შემთხვევაში არასრულწლოვანთა დაცვის მიზნით ჩვენ ვაწარმოებთ ჟურნალს, სადაც აღირიცხება ვიზიტორის სახელი და გვარი.

6. მონაცემთა უსაფრთხოება და ინფორმაციაზე წვდომის კონტროლი

ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის მიზნით წინასწარაა განსაზღვრული და დოკუმენტირებული თუ ვის აქვს ინფორმაციაზე წვდომა.

ნებისმიერ თანამშრომელს, რომელსაც შეყავს ინფორმაცია (მაგ. რეგისტრატორი, ექიმი) აქვს განპიროვნებული მომხმარებლის სახელი და პაროლი.

ინფორმაციის წვდომაზე უფლებამოსილი პირები აგრეთვე წინასწარ განისაზღვრება მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტების შემთხვევაშიც.

მატერიალური ფორმით არსებობს შემდეგი ჟურნალები:

- პირველადი სარეგისტრაციო ჟურნალი
- რეგისტრაციის ჟურნალი ამბულატორიული მკურნალობისათვის
- რეგისტრაციის ჟურნალი სტაციონალური მკურნალობისათვის
- ლაბორატორიის ჟურნალი
- გადაუდებელი შემთხვევების მკურნალობის ჟურნალი
- ვიზიტორთა აღრიცხვის ჟურნალი

ჩვენ მონაცემებს ვინახავთ დაცულ პროგრამებსა და სერვერებზე. უსაფრთხობის ზომების დეტალური აღწერა მოცემულია დოკუმენტში „მონაცემთა უსაფრთხოებისთვის მიღებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების აღწერა“.

ჩვენს შიდა ბაზაში მოქმედებს ელექტრონული ჩანაწერები ე.წ. ლოგირების სისტემა და აღირიცხება პაციენტის პერსონალურ მონაცემებზე წვდომის თითოეული შემთხვევა.

მესამე პირები, ვისაც გადავცემთ მონაცემებს

ჯანმრთელობის დაცვის სისტემის გამართული ფუნქციონირების, ჯანდაცვის პოლიტიკის ეფექტური განხორციელების, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა დაცვისა და ჯანდაცვის სექტორზე სახელმწიფოს მონიტორინგისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულების შესაბამისად და დადგენილი წესით პაციენტის განსაკუთრებული კატეგორიის/ჯანმრთელობის მონაცემებს ვაწვდით :

- სამედიცინო მონაცემები (პაციენტების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, დანიშნულება, დიაგნოზი, მკურნალი ექიმი, ინფორმაცია ჰოსპიტალიზაციის ეპიზოდ(ებ)ის/ამბულატორიული ვიზიტ(ებ)ის შესახებ; ცხოვრების ანამნეზი – ჰოსპიტალიზაციის სხვადასხვა ეპიზოდიდან/ამბულატორიული ვიზიტებიდან გენერირებული ინფორმაცია, იტვირთება **საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვებ გვერდზე** www.moh.gov.ge;
- ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მომსახურების დაფინანსების პროგრამის განხორციელების დადგენილი წესის შესაბამისად ჩვენ როგორც მიმწოდებელი **შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური**

დაცვის სამინისტროს წარვუდგენთ საანგარიშსწორებო დოკუმენტაციას. საანგარიშსწორებო დოკუმენტაცია წარედგინება ნაბეჭდი და ელექტრონული სახით. საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის ნუსხა მოიცავს: ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლის სახელს, გვარს, პირად ნომერსა და დაბადების თარიღს, ხოლო თუ პირი არასრულწლოვანია-დაბადების მოწმობის ასლს (პირადი ნომრის არქონის შემთხვევაში);

- ყოველი თვის 10 რიცხვამდე **სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს** ინფორმაცია გადაეცემა წინა თვეში ჩატარებული კონსულტაციებისა და კვლევების თაობაზე (ამბულატორია, სტაციონარი) კანცელარიის საქმისწარმოების ეროვნული პროგრამის მეშვეობით. აგრეთვე მათ გადავცემთ დეპერსონალიზებულ სტატისტიკურ ინფორმაციას (წლიური სტატისტიკა)
- **ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონული სამსახური-** პაციენტების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, დანიშნულება, დიაგნოზი, მკურნალი ექიმი, სამედიცინო მონაცემები;
- **სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი-** პაციენტების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, დანიშნულება, დიაგნოზი, მკურნალი ექიმი, სამედიცინო მონაცემები;
- კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულების შესაბამისად და დადგენილი წესით პერსონალური მონაცემების შემცველ ინფორმაციას გადავცემთ: **სოციალური მომსახურების სააგენტოს, დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურს და მონიტორინგის სამსახურს;**
- **თვითმმართველი თემის - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს** მონიტორინგის ფარგლებში მოთხოვნილი ინფორმაცია მხოლოდ იმ მოცულობით რაც აუცილებელია 100%-იანი მეწილის / წილის მმართველის მიერ საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით განსაზღვრული მონიტორინგის განსახორციელებლად.

პაციენტის ან მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მოთხოვნით:

- **სოციალური მომსახურების სააგენტოს-** პაციენტების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, დანიშნულება, დიაგნოზი, სამედიცინო მონაცემები, სამედიცინო მომსახურებისათვის გადახდილი ან გადასახდელი თანხა;
- **კერძო სადაზღვევო კომპანიას** - პაციენტების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, დანიშნულება, დიაგნოზი, სამედიცინო მონაცემები, სამედიცინო მომსახურებისათვის გადახდილი ან გადასახდელი თანხა;
- **სკოლას ან სხვა დაწესებულებას** - ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;

- **საჯარო ან კერძო დაწესებულებას** - პაციენტების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, დანიშნულება, დიაგნოზი, ჩატარებული ან ჩასატარებელი მკურნალობის შესახებ ინფორმაცია, სამედიცინო მომსახურებისათვის გადახდილი ან გადასახდელი თანხა დაფინანსების მიღების მიზნით.

მონაცემთა სუბიექტის უფლებები პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესში

ჩვენ ვიცავთ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონითა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ევროპული რეგულაციით (GDPR) გარანტირებულ პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის უფლებებს. ჩვენ ვიცავთ „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით გარანტირებულ პირადი ცხოვრების კონფიდენციალობას და ხელშეუხებლობას. ჩვენ ვხელმძღვანელობთ არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებით და ვხელმძღვანელობთ „ბავშვის უფლებათა კოდექსით“.

ჩვენი საქმიანობის სფეროდან გამომდინარე ვიცავთ მონაცემთა სუბიექტის შემდეგ უფლებებს:

<u>მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება</u>

მონაცემთა სუბიექტს აქვს უფლება მოითხოვს და ჩვენ არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა მივაწვდით შემდეგ ინფორმაციას: მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი და უფლებამოსილი პირი, დამუშავებულ მონაცემთა კატეგორიები, მონაცემთა დამუშავების საფუძველი და მიზანი; მონაცემთა შეგროვების/მოპოვების წყარო; მონაცემთა შენახვის ვადა, მესამე პირებისთვის მონაცემთა გადაცემის სამართლებრივი საფუძველი, მიზანი და დაცვის გარანტიები.

ჩვენ მონაცემთა სუბიექტს მისი მოთხოვნის გარეშე, პირველივე შესაძლებლობისთანავე მივაწვდით ინფორმაციას ინციდენტის შესახებ (მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევა, რომელიც იწვევს მონაცემების არამართლზომიერ ან შემთხვევით დაზიანებას, დაკარგვას, აგრეთვე უნებართვო გამჟღავნებას, განადგურებას, შეცვლას, მათზე წვდომას, მათ შეგროვებას/მოპოვებას ან სხვაგვარ უნებართვო დამუშავებას) თუ ინციდენტი მაღალი ალბათობით გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. ინციდენტის შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტს ვაცნობებთ ინციდენტსა და მასთან დაკავშირებულ გარემოებებს; ინციდენტით გამოწვეული სავარაუდო/დამდგარი ზიანის, მის

შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებებს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის საკონტაქტო მონაცემები.

<u>მონაცემთა გაცნობისა და ასლის მიღების უფლება</u>

მონაცემთა სუბიექტს შეუძლია მოგვთხოვოს ჩვენს მიერ დამუშავებული, მისი პერსონალური მონაცემების ასლები უსასყიდლოდ. ჩვენ შეიძლება დავადგინოთ გონივრული საფასური იმ შემთხვევაში თუ მონაცემთა სუბიექტი ითხოვს შენახვის ფორმისგან განსხვავებული ფორმით მათი გაცემა და ამისათვის საჭიროა ჩვენს მიერ დამატებითი რესურსის დახარჯვა. ამ შემთხვევაში განსაზღვრული საფასური არ იქნება დახარჯული რესურსის ოდენობაზე მეტი.

ჩვენ პაციენტის პირადი ინფორმაციის შემცველ მონაცემებს (მათ შორის ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ანალიზის/ტესტირების მონაცემები) არ გადავცემთ სხვა პირებს თუკი პაციენტმა თავად არ განაცხადა წერილობითი თანხმობა.

<u>მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების უფლება</u>

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს მოგვთხოვოს მის შესახებ მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება. ჩვენ გავასწორებთ შეცდომას, როგორც მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის საფუძველზე ასევე შეცდომის ჩვენს მიერ აღმოჩენის შემთხვევაშიც და ამის შესახებ შევატყობინებთ მონაცემთა სუბიექტს, გარდა იმ შემთხვევისა თუ შეცდომა ტექნიკური ხასიათისაა. თუკი პერსონალურ მონაცემებში არსებულმა შეცდომამ გამოიწვია/ან შეიძლება გამოიწვიოს პაციენტისთვის მნიშვნელოვანი სამართლებრივი, ფინანსური ან სხვა სახის შედეგი ჩვენ ასევე ვატყობინებთ პაციენტს ამის შესახებ.

შეცდომის შემთხვევაში ასევე შევატყობინებთ მონაცემის ყველა მიმღებს ამავე მონაცემთა ყველა სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს, რომლებსაც თავად გადავეცით მონაცემები.

<u>მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლება</u>

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მოგვთხოვოს ჩვენს მიერ მისი პერსონალური მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა ან/და ჩვენს მიერ დამუშავებული მონაცემების წაშლა ან განადგურება. მოთხოვნა უნდა შესრულდეს არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

მონაცემთა სუბიექტს მონაცემთა წაშლასა და განადგურებაზე შეიძლება უარი ეთქვას მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გამონაკლის შემთხვევებში, კერძოდ:

- თუ არსებობს მონაცემთა დამუშავების სხვა კანონიერი საფუძველი (კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნა, საზოგადოებრივი ჯანდაცვა და აშ);
- მონაცემები მუშავდება კანონით გათვალისწინებული საჯარო ინტერესებისთვის არქივირების მიზნით, სამეცნიერო ან ისტორიული კვლევის ან სტატისტიკური მიზნებისთვის და მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლების განხორციელება შეუძლებელს გახდის ან მნიშვნელოვნად დააზიანებს დამუშავების მიზნების მიღწევას.

თუ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტამ, წაშლამ ან განადგურებამ შესაძლოა მოიტანოს მნიშვნელოვანი სამართლებრივი ან ფინანსური შედეგები მონაცემთა სუბიექტისთვის (მაგალითად პაციენტი ვეღარ მიიღებს სახელმწიფო დახმარებას ან ვერ ჩაერთვება სახელმწიფო პროგრამაში) ჩვენ ამის შესახებ ინფორმაციას ვაწვდით პაციენტს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტამდე ან/და მონაცემთა განადგურებამდე.

<u>მონაცემთა დაბლოკვის უფლება</u>

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მოგვთხოვოს მონაცემთა დაბლოკვა, თუ არსებობს კანონით განსაზღვრული ერთ-ერთი შემდეგი გარემოება: მონაცემთა სუბიექტი სადავოს ხდის მონაცემების ნამდვილობას ან სიზუსტეს; მონაცემთა დამუშავება უკანონოა, თუმცა მონაცემთა სუბიექტი ეწინააღმდეგება მათ წაშლას და ითხოვს მონაცემთა დაბლოკვას; მონაცემები საჭირო აღარ არის მათი დამუშავების მიზნის მისაღწევად, თუმცა მონაცემთა სუბიექტს ისინი სჭირდება საჩივრის/სარჩელის წარსადგენად; მონაცემთა სუბიექტი მოითხოვს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტას, წაშლას ან განადგურებას და მიმდინარეობს ამ მოთხოვნის განხილვა; არსებობს მონაცემების მტკიცებულებად გამოყენების მიზნით შენახვის აუცილებლობა.

მონაცემთა სუბიექტს მონაცემთა დაბლოკვაზე შეიძლება უარი ეთქვას მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გამონაკლისს შემთხვევებში.

თუ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტამ, წაშლამ ან განადგურებამ შესაძლოა მოიტანოს მნიშვნელოვანი სამართლებრივი ან ფინანსური შედეგები მონაცემთა სუბიექტისთვის (მაგალითად პაციენტი ვეღარ მიიღებს სახელმწიფო დახმარებას ან ვერ ჩაერთვება სახელმწიფო პროგრამაში) ჩვენ ამის შესახებ ინფორმაციას ვაწვდით პაციენტს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტამდე ან/და მონაცემთა განადგურებამდე.

<u>თანხმობის მოპოვება და თანხმობის გამოხმობის უფლება</u>

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების დაწყებამდე მონაცემთა სუბიექტს მივაწვდით სრულ ინფორმაციას ჩვენს მიერ მონაცემთა დამუშავების პროცესისა და დაცვის გარანტიების შესახებ.

მონაცემთა სუბიექტს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის დოკუმენტი მიეწოდება მატერიალური ფორმით და გაცნობის შემდეგ ხელს აწერს დოკუმენტს. კონფიდენციალობის პოლიტიკის დოკუმენტი ასევე ხელმისაწვდომია ჩვენს facebook გვერდზე.

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების ან დასაბუთების გარეშე გამოიხმოს მის მიერ გაცემული თანხმობა. თუ მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარდა მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი არ არსებობს, თანხმობის გამოხმობის შემთხვევაში მონაცემთა დამუშავება უნდა შეწყდეს ან/და დამუშავებული მონაცემები წაიშალოს ან განადგურდეს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, თანხმობა გამოიხმოს იმავე ფორმით, რომლითაც თანხმობა განაცხადა (წერილობითი ფორმით).

მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გამოხმობამდე მივაწვდით ინფორმაციას თანხმობის გამოხმობის შესაძლო შედეგების შესახებ (მატერიალური, სამართლებრივი და სხვა მნიშვნელოვანი შედეგები.

პერსონალურ მონაცემთა შენახვის ვადა

- სამედიცინო ისტორია - (ამბულატორიის მონაცემები 5 წლის ვადით, სტაციონარული მკურნალობის მონაცემები 15 წლის ვადით)
- სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება - სამედიცინო ისტორიის შენახვის ვადით.
- საგადასახადო დოკუმენტაცია სამედიცინო მომსახურების მიღების შესახებ - 3 წლის ვადით

<u>თანხმობის დოკუმენტები/განცხადებები:</u>

- თანხმობა პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე - მონაცემთა დამუშავების ვადით თანხმობის გამოთხოვამდე და თანხმობის გამოთხოვიდან ერთი წლის განმავლობაში;
- თანხმობა სამედიცინო მომსახურების გაწევაზე - მომსახურების გაწევის ვადით და ამ ვადის გასვლის შემდეგ 1-წელი
- პაციენტის/მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა სხვა პირმა წაიღოს ლაბორატორიული კვლევის/ანალიზის პასუხები - თანხმობის გაცემიდან 1 წლის ვადით;
- განცხადება ჯანმრთელობის მდგომარეობის ცნობის მოთხოვნის შესახებ მოთხოვნიდან 1 წლის ვადით

ელექტრონულად არსებული მონაცემები მონაცემთა შენახვის ვადის გასვლის შემდეგ იშლება აღდგენის შესაძლებლობის გარეშე. მატერიალური ფორმით არსებული, პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტები ნადგურდება შრედერის საშუალებით აღდგენის შესაძლებლობის გარეშე.

თავი II

პერსონალური მონაცემები შრომითი ურთიერთობის ფარგლებში

მონაცემთა სუბიექტი

ამ თავის მიზნებისათვის მონაცემთა სუბიექტია -დასაქმებული პირი და დასაქმების მსურველი კანდიდატი

რა მონაცემებს ვაგროვებთ

თანამშრომელების:

1. მაიდენტიფიცირებელი მონაცემები და საკონტაქტო ინფორმაცია : სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, ტელეფონის ნომერი, მისამართი, ფოტოსურათი;

2. შრომითი ურთიერთობის განხორციელებასთან დაკავშირებული ინფორმაცია : კადრების ფურცელი, დანიშვნის და განთავისუფლების ბრძანება, დიპლომი, სერტიფიკატი, დაკავებული თანამდებობა, წახალისების დოკუმენტი, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების დოკუმენტი, შრომითი ურთიერთობის შეჩერების და შეწყვეტის საფუძველი, და აშ.

3. განათლებასთან და კვალიფიკაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია: დიპლომის ასლი, სერტიფიკატები, CV და კვალიფიკაციის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები;

4. საბანკო ტრანზაქციებთან დაკავშირებული მონაცემები: საბანკო ანგარიში;

5. განსაკუთრებული კატეგორიის (ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემები)- ფორმა 100 ყოველწლიურად, სამედიცინო პერსონალის შემთხვევაში სკრინინგის მონაცემები, საავადმყოფო ფურცელი (დიაგნოზის მითითების გარეშე) სამსახურის გაცდენის შემთხვევაში.

დასაქმების მსურველების:

1. მაიდენტიფიცირებელი მონაცემები და საკონტაქტო ინფორმაცია : სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, ტელეფონის ნომერი;

2. განათლებასთან და კვალიფიკაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია: დიპლომის ასლი, სერტიფიკატები, CV და კვალიფიკაციის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები.

რა გზით მოვიპოვებთ პერსონალურ მონაცემებს	**რა მიზნით მოვიპოვებთ პერსონალურ მონაცემებს**	**ვის მიუწვდება ხელი პერსონალერ მონაცემებზე**	**რა ვადით ვინახავთ**
მხოლოდ მონაცემთა სუბიექტისგან მისი თანხმობით. როგორც კანდიდატი ასევე ჩვენთან დასაქმებული პირი აცხადებს წერილობით თანხმობას შრომითი ურთიერთობისთვის მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე	1.შრომითი და თანმდევი ურთიერთობები (წინასახელშეკრულებო და ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებული ურთიერთობები) 2. საბუღალტრო და საგადასახადო ანგარიშსწორება 3. შრომითი დავების გადაწყვეტა სასამართლო გზით 4. სამუშაო ადგილიდან ცნობის გაცემა	შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები ინახება ცალკე საცავში და მასზე ხელი მიუწვდება: საქმისმწარმოებელს, ადამიანური რესურსების განყოფილების თანამშრომელს, კლინიკის მენეჯერს და მონაცემთა სუბიექტის უშუალო ხელმძღვანელს. საავადმყოფო ფურცელზე ხელი მიუწვდება ადამიანური რესურსების განყოფილების თანამშრომელს, ბუღალტერს. ფორმა - 100 -ზე -	1. დასაქმებულის პერსონალური მონაცემები ინახება შრომითი ურთიერთობის ვადით და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტიდან 3 წლის ვადით. 2. დასაქმებულის სახელი, გვარი და დაკავებული თანამდებობა ინახება შრომითი ურთიერთობის დასრულების შემდეგ ათი წლის ვადით მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შემთხვევაში მისთვის ცნობის გაცემის მიზნით. 3. დასაქმებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემები შესახებ მონაცემები ინახება

		საქმისმწარმოებელს. სკრინინგის მონაცემებზე - ლაბორანტს. საბანკო ანგარიშზე და გამოყენებულ დისციპლინურ და წახალისბის ზომებზე - ბუღალტერს, ფინანსურ მენეჯერს, HR. მონიტორინგის ფარგლებში თანამშრომელთა პერსონალურ მონაცემებზე ხელი მიუწვდებათ მონიტორინგის განმახორციელებელ დაწესებულებებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	მკურნალობის დასრულებიდან ერთი წლის ვადით 4. სამედიცინო პერსონალის სკრინინგის მონაცემები ინახება 6 თვის ვადით. 3. დასაქმების მსურველი პირის პერსონალური მონაცემები მასთან შეთანხმებით ინახება ერთი წლის ვადით.